ფიფლ ინ ნიდ საქართველო

ბიულეტენი #9 ივნისი 2020 | WWW.PIN.GE

ძვირფასო კოლეგებო და პარტნიორებო, „ფიფლ ინ ნიდ“-ის (PIN) საინფორმაციო ბიულეტენის წინამდებარე გამოცემა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც მსოფლიო COVID-19 ვირუსმა შეძრა. პანდემიამ წინა პლანზე წამოწია ქვეყნებში, ისევე როგორც ქვეყნებს შორის არსებული უთანასწორობა, ამავდროულად, წარმოაჩინა თანამშრომლობის, სოლიდარობისა და კრეატიულობის ინსპირაციული მაგალითი. იმ დროისთვის, როცა ამ წერილს ვწერ, საქართველო საერთაშორისოდ აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ქვეყანა, რომელმაც წარმატებით შეძლო საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კრიზისის მართვა.

ჩვენ, „ფიფლ ინ ნიდ“ საქართველოს გუნდმა, სწრაფად შევძელით ჩვენი მიდგომების იმგვარად ადაპტირება, რომ გაგვეგრძელებინა პროექტები ჩვენი კოლეგებისა და საზოგადოებისთვის მინიმალური რისკის ფასად და ამავდროულად, გვეპასუხა ახალ გამოწვევაზე და საჭიროებაზე.

წინამდებარე ბიულეტენში, თქვენ შეიტყობთ, თუ როგორ მივაწოდეთ აუცილებელი ჰიგიენის და დამცავი აღჭურვილობა იმ პირებსა და ინსტიტუციებს ვისაც სჭირდებოდა; თუ როგორ გავუწიეთ პროფესიული კონსულტაცია მოსახლეობას მათ მიერ წამოჭრილ იურიდიულ და ფსიქო-სოციალურ საკითხებზე; თუ როგორ ვაზიარებთ ინფორმაციას, რომელიც გვეხმარება თითოეულ ჩვენგანს უსაფრთხოების დაცვაში.

ჩვენი კოლეგები, მსოფლიოს მასშტაბით, ჩართული იყვნენ COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამის პარალელურად კი, განაგრძობდნენ გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების გაწევას მოწყვლად და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში.

ვფიქრობთ, დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, საქართველო პანდემიის შედეგად სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დადგება. PIN მზად არის წვლილი შეიტანოს ეკონომიკის აღდგენაში ჩართვის, მონაწილეობის და გარემოს დაცვის ხელშეწყობით, რაც გაზრდის სახელმწიფოს მდგრადობას სამომავლო რყევებისა და სტრესის მიმართ.

აქვე, მსურს მადლობა გადავუხადო ჩვენს დონორებსა და პარტნიორებს ამ მნიშვნელოვანი ძალისხმევის მხარდაჭერისთვის, კერძოდ, ევროკავშირს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სლოვაკეთის განვითარების დახმარების პროგრამას („Slovak Aid“).

დიონ ბატერსბი
„ფიფლ ინ ნიდ“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი

Dion.battersby@peopleinneed.cz
www.pin.ge

PIN-ის აქტივობები COVID-19-ის გამოწვევების საპასუხოდ

„ფიფ ინ ნიდ“-ის ინკლუზიური მხარდაჭერა COVID-19-ის საპასუხოდ

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ, PIN-თან კოორდინაციით, პერსონალური დამცავი აღჭურვილობა (PPE) გადასცა დუშეთში, მარტყოფსა და ძევრში მოქმედ სამ დაწესებულებას, სადაც მაღალია იქ მცხოვრებ ბენეფიციართა შორის ვირუსის გადაცემის რისკი.

პერსონალური დამცავი აღჭურვილობის გადაცემა აუცილებელია არა მხოლოდ COVID-19–ის საპასუხოდ ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის პრევენციული ზომების გასაძლიერებლად, არამედ იმის უზრუნველსაყოფად, რომ არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა. შეიტყვეთ მეტი

წყალტუბოს განვითარების ჯგუფი განაგრძობს საინფორმაციო კამპანიას COVID-19 პანდემიის საპასუხოდ

ახლა, როდესაც ცხოვრება თანდათან ჩვეულ რიტმს უბრუნდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტ-COVID-19-ის პერიოდში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ დაწესებული უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

სწორედ უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და COVID-19-ის ირგვლივ არსებულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიზნით, ლაგ წყალტუბოს წევრებმა განათავსეს პოსტერები ქალაქის საჯარო ადგილებში. შეიტყვეთ მეტი

PIN-ის მიერ COVID-19 პანდემიის საპასუხოდ მიღებული გლობალური ზომები

მაშინ, როცა COVID-19 პანდემია კვლავ მძვინვარებს მსოფლიოს მასშტაბით, ცხადია, მსოფლიოს ყველაზე დაუცველ თემებს სჭირდებათ გრძელვადიანი დახმარება, რაც აღემატება ჯანდაცვის სფეროს შესაძლებლობებს. ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“ ცდილობს რეაგირება მოახდინოს უპრეცედენტო გამოწვევებზე ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ის ოპერირებს. შეიტყვეთ მეტი

სიახლეები PIN-ში!!

გახდი ცვლილების ნაწილი!

იცოდით, რომ სამოქალაქო საზოგადოების აქტორები გადამწყვეტ როლს თამაშობენ სოციალური საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და პოზიტიური ცვლილებების დანერგვაში? ორგანიზაციამ „ფიფლ ინ ნიდ“ დაიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, სათემო ინიციატივებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების გაძლიერებას. აღნიშნული ინიციატივა ფართომასშტაბიანი ძალისხმევის ნაწილია, რომელიც ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების აქტორების, როგორც ცვლილებების ინიციატორების გაძლიერებას სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში. შეიტყვეთ მეტი

PIN-ი ეხმარება ახალგაზრდებს აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში

ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“ ახალ პროექტს იწყებს, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებს შორის მედია წიგნიერების ამაღლებას, კრიტიკული აზროვნების უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას, შედეგად კი სათემო საკითხებსა და დემოკრატიულ პროცესებში მათი აქტიური ჩართულობის ხელშეწყობას. „ფიფლ ინ ნიდ“ ეყრდნობა სწავლების ინოვაციურ მეთოდოლოგიას, რომელიც გულისხმობს დოკუმენტური ფილმების მეშვეობით ახალგაზრდების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. შეიტყვეთ მეტი

ვებინარები COVID-19-ის გამოწვევების საპასუხოდ

„ფიფლ ინ ნიდ - საქართველო“ თქვენს გვერდითაა! იურიდიული კონსულტაცია კორონავირუსის პირობებში თქვენი უფლებების დასაცავად!

COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის ფონზე, არსებითად მნიშვნელოვანია ჩვენი უფლებების სამართლებრივი დაცვა. COVID-19–თან დაკავშირებით იურიდიული კონსულტაციის გაწევის მიზნით, წყალტუბოს განვითარების ჯგუფმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (საია) კოორდინაციით, ორგანიზება გაუწია ვებინარს. იხილეთ ვიდეო, სადაც საია-ს წარმომადგენელი, ზაალ გორგიძე პასუხობს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებით წყალტუბოს მაცხოვრებლების მიერ დასმულ შეკითხვებს.

რამდენად ზრუნავთ თქვენს მენტალურ ჯანმრთელობაზე COVID-19 კრიზისის პირობებში?

წყალტუბოს განვითარების ჯგუფი და წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT) წარმოგიდგენთ ერთობლივ ვებინარს, თუ როგორ გავუმკლავდეთ COVID-19-ის ნეგატიურ გავლენას მენტალურ ჯანმრთელობაზე. იხილეთ ვიდეო კონსულტაცია, სადაც თეა ფანჩულიძე, GCRT-ის ფსიქოლოგი, განიხილავს COVID-19-თან დაკავშირებულ გამოწვევებს, COVID-19-ის შემდგომ პერიოდში აქტუალურ საკითხებს, ასევე გვაწვდის რჩევებს, თუ როგორ გავუმკლავდეთ პანდემიით გამოწვეულ სტრესსა და მღელვარებას.

დოკუმენტური ფილმები შთაგონებისთვის

ჯოვანი და წყლის ბალეტი

პანდემიის პერიოდში, „ფიფლ ინ ნიდ“ მუდმივად ანებივრებდა მისი გვერდის გამომწერებს საინტერესო ფილმებით. მათ შორის იყო დოკუმენტური ფილმი **"ჯოვანი და წყლის ბალეტი“**, რომელიც მოგვითხრობს 10 წლის ჯოვანის ამბავს, რომლის ოცნებაა გახდეს პირველი ყმაწვილი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჰოლანდიის სინქრონული ცურვის ჩემპიონატში. ფილმი ილაშქრებს გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დამკვიდრებულმა გენდერულმა ნორმებმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს დასახული მიზნების მიღწევაში.

შემგროვებელი ბედფორდის ქუჩიდან

წარმოგიდგენთ კიდევ ერთ დოკუმენტურ ფილმს, ამჯერად, გამორჩეული სამოქალაქო აქტივისტისა და ქველმოქმედის ლერი სელმანის შესახებ. გონებრივი შეზღუდვის მიუხედავად, ლერის მიერ გაწეული ძალისხმევა და ათასობით დოლარის მოზიდვა გაჭირვებაში მყოფი ადამიანებისთვის მსოფლიოს მასშტაბით შთაგონების წყაროდ იქცა. არ გაუშვათ შანსი შეიტყოთ მეტი ლერი სელმანის შთამბეჭდავი ცხოვრების შესახებ!



გაიცანი ადგილობრივი გმირები

რძის პროდუქტების მწარმოებელი კოოპერატივი "ზესტაფონური" - PIN-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტების მდგრადობის წარმატებული მაგალითი

საქართველოში, ისევე როგორც ზოგადად მსოფლიოს მასშტაბით, პანდემიის გამო უამრავ ბიზნესს მოუხდა საქმიანობის შეჩერება. ამ რთულ და უპრეცედენტო პერიოდში, რძის პროდუქტების მწარმოებელი კოოპერატივი „ზესტაფონური“ სრული დატვირთვით განაგრძობს ფუნქციონირებას. ზესტაფონური 2016 წელს დაარსდა ევროკავშირის ENPARD პროგრამის მხარდაჭერით, მას შემდეგ, კოოპერატივის პროდუქცია არაერთი მსხვილი, ადგილობრივი თუ საერთაშორისო სუპერმარკეტის დახლზე გამოჩნდა. დღეს, დაარსებიდან 4 წლის შემდეგ, COVID-19-ის პირობებშიც კი, კოოპერატივი „ზესტაფონური“ წარმატებისა და მდგრადობის ნამდვილი მაგალითია. შეიტყვეთ მეტი

გაიცანით შუქია, არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის ახალი აღმასრულებელი დირექტორი

პატივი გვაქვს წარმოგიდგინოთ არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის (LAG) ახალი აღმასრულებელი დირექტორი, შუქია წიკლაური. ამ ახალ როლში, „ფიფლ ინ ნიდ“-ის გუნდთან თანამშრომლობით, შუქია ხელს შეუწყობს მშობლიური არაგვის რეგიონის განვითარებას. როგორც შუქია აღნიშნავს, ის ყოველთვის ოცნებობდა წვლილი შეეტანა ამ მშვენიერი რეგიონის განვითარებაში, ახლა კი, მოუთმენლად ელის საქმიანობის დაწყებას და შედეგად, ადგილობრივთათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. შეიტყვეთ მეტი

PIN-ის გუნდი

გასული წლის თებერვალში, PIN - საქართველოს გუნდს მიეცა შესაძლებლობა თოვლიან ბორჯომში შეკრებილიყო. ორგანიზაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამდღიან სემინარში, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნისთვის ახალი პროგრამული სტრატეგიის შემუშავებას. სემინარმა PIN საქართველოს კოლეგებს საშუალება მისცა ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრებები მიღწეული შედეგების, მიღებული გაკვეთილებისა და საინტერესო მიდგომების შესახებ.

მოემზადეთ ახალი სტრატეგიებისა და პერსპექტივების გასაცნობად!

გულითადი მადლობა ჩვენს ძვირფას დონორებსა და პარტნიორებს

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CZECH REPUBLIC DEVELOPMENT COOPERATION

TRANSITION
Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic

SlovakAid
GOOD IDEA SLOVAKIA

(+995) 32 2 92 00 15
georgia.peopleinneed.eu
peopleinneed.cz

People in Need - Georgia
People in Need - Official

Click here to **UNSUBSCRIBE**